საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№110 (6336) 13 სექტემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

მკითხველს ვთავაზობთ:

* საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ — II გვ.
* იმედი ნუ მოგიშალოთ... — III გვ.
* წარსულის უტყვი მემატიანე — III გვ.
* შეხვედრა 15 წლის შემდეგ
* ვინ ვართ ჩვენ? — IV გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

რესპუბლიკის კომუნისტების, მოსახლეობისადმი

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვისებრივი განახლებისა და დემოკრატიზაციის გაღრმავების გზაზე კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიამ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც პირველად ქმნის მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების რეალურ საფუძველს. ახალმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, მიიღწიოს რეალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას და დამკვიდრებას, შექმნას მართვის თანამედროვე სტრუქტურები და ინსტიტუტები.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ხელოვნური დაჩქარება, ობიექტურ რეალობათა უგულებელყოფა პროგრესის შემაფერხებელი მიზეზები ხდება. წარსულში დამკვიდრებული ეს უარყოფითი ტენდენცია, სამწუხაროდ, მეტნაკლებად დღესაც ინარჩუნებს ძალას, რაც ვლინდება კონსერვატიული, გამთიშველი, არაკონსტრუქციული ძალების მოქმედებით. აშკარად ჩანს, რომ არცთუ ისე იშვიათად ხალხის ნების პრიორიტეტულობას ზოგიერთი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება და ამბიციები, პოლიტიკური მხსნელის პრეტენზიები ჩრდილავს. უკანა პლანზე იწევს მთავარი პოლიტიკური და ზნეობრივი პრინციპი — პროგრესის მამოძრავებელი ძალაა არა ერთმანეთთან ბრძოლა, არამედ ბრძოლა საერთო, უზენაესი მიზნისათვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების, მთელი ჩვენი ცხოვრების ძირეული, თვისებრივი განახლებისთვის საჭიროა მშვიდი ვითარება, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, ნორმალური შრომითი რიტმი, და, რასაკვირველია, განსაკუთრებით აუცილებელია, ყველა პოლიტიკურმა ძალამ გამოიჩინოს მაქსიმალური პასუხისმგებლობა, ყველაფერზე მაღლა დააყენოს ჩვენი ხალხის, სრულიად საქართველოს ინტერესები, არ დაუშვას კონფრონტაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დაძაბვა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდშიც კი არ წყდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციის აშკარა ცდები, ძალადობის ფაქტები; გამძაფრდა თავდასხმები, მათ შორის ყოვლად მიუღებელი, არაეთიკური და უზნეო ფორმებითაც საქართველოს კომპარტიაზე, რომელიც სურთ დაუპირისპირონ და ჩამოაშორონ ეროვნულ მოძრაობას. ხშირად გაისმის მუქარა, ბრალდებები, ადგილი აქვს პირდაპირ თუ არაპირდაპირ წაქეზებას, შანტაჟს. ზოგჯერ იმასაც კი არ ერიდებიან, თავიანთ უპირველეს ეროვნულ მიზნად გამოაცხადონ კომპარტიის დისკრედიტაცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მისი სრული იზოლაცია. შეურაცხყოფას აყენებენ იმ ამომრჩევლებს, ვინც საქართველოს კომპარტიას მისცემს ხმას, ემუქრებიან იმათ, ვისაც სურს საქართველოს კომპარტიის სახელით იყაროს კენჭი დეპუტატობის კანდიდატად.

ასეთ მეთოდებს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ დემოკრატიასა და მრავალპარტიულობის პრინციპებთან, ხომ არ გვაგონებენ ისინი ჩვენი ისტორიის არცთუ შორეული წარსულის ავადმოსაგონარ ფურცლებს, ნუთუ ჭკუა არ უნდა გვასწავლოს წარსულის გაკვეთილებმა?

არადემოკრატიული მეთოდებითა და მოქმედებით დემოკრატიული საზოგადოება ვერ აშენდება. პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება პოზიტიური მოქმედებით უნდა ხდებოდეს და არა მეორე მხარის ლანძღვა-გინებით.

არავის არა აქვს უფლება მონოპოლია გამოაცხადოს პატრიოტიზმზე, სხვას ართმევდეს ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას და მითუმეტეს იარლიყები მიაკრას. ეს მით უფრო გაუგებარია, როცა საქმე ეხება საქართველოს დამოუკიდებელ, თვისებრივად განახლებულ ეროვნულ ნიადაგზე მდგომ კომპარტიას, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის, მუშების, სოფლის მშრომელების დიდ ნაწილს აერთიანებს, საქართველოს კომუნისტთა დღევანდელი თაობა მკვეთრად გაემიჯნა წარსულის დეფორმაციებს, უარყო იდეოლოგიური დოგმატიზმი კლასობრივ-პარტიული ინტერესების პრიორიტეტი, შეუდგა ჰუმანური, დემოკრატიული, ცივილიზებული საზოგადოების მშენებლობას. მისი პროგრამა, ეროვნული განვითარების კონცეფცია, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, საპარლამენტო ინიციატივები და გადაწყვეტილებები, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ახალ პოლიტიკურ ძალებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა მკვიდრ საფუძველს უქმნიან რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

იმათ, ვინც ცდილობს შეურიგებელი დაპირისპირების ატმოსფერო შექმნას, უნდა აცნობიერდეს, რომ საქმე შეეხება ჩვენი პარტიის დღევანდელ წევრებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთო არაფერი აქვს წარსულის მძიმე ტვირთთან და რომლებიც, თუ მათი ოჯახების წევრებსაც გავითვალისწინებთ, ერის დიდ ნაწილს შეადგენენ.

რაც შეეხება დღევანდელ სიმახინჯეებს, მათგან, სამწუხაროდ, თავისუფალი და დაზღვეული როდია საზოგადოების ნებისმიერი ფენა. როცა სხვა პარტიებს ვაკრიტიკებთ, უნდა გვეყოს იმის აღიარების გამბედაობაც, რომ უზნეობისა და სხვადასხვა სიმახინჯის გამოვლინებები, ჩვენდა სავალალოდ, ახლად ჩამოყალიბებული ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისთვისაც როდია უცხო ხილი.

საქართველოს კომპარტიას განსაკუთრებული დაუნდობლობით უტევს იმ პირთა ნაწილი, ვინც გუშინ სწორედ ამ პარტიის წევრი იყო და ამჟამად მის უკვე არ არსებულ ნომენკლატურასაც შეადგენდნენ. საინტერესოა, როგორ მოასწრეს ასე მალე „განწმენდა“ იმისაგან, რასაც დღეს ბრალად სდებენ პარტიას და მის წევრებს?-

ახლა გადაბრალებ-გადმობრალების და ანგარიშსწორების დრო არ არის. ასეთი რამ არ ეკადრება ჩვენს ხალხს, ისტორიას, ტრადიციებს.

ყველა ნაკლსა და სიმახინჯეს ერთად უნდა ვებრძოლოთ, არა ერთმანეთთან დაპირისპირებით, მით უმეტეს—უზნეო და არაეთიკური ფორმებით, არამედ თანადგომითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით. ერის წინაშე მისი მთლიანობის შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობით უნდა ვებრძოლოთ საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის. არჩევანი კი ხალხმა გააკეთოს, მან განსაჯოს ყოველივე.

სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს წინასაარჩევნო პერიოდში და თვით არჩევნების დროს გამოიჩინონ მაქსიმალური პასუხისმგებლობა, სიბრძნე და ორგანიზებულობა, რათა ჩვენი ერისთვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა—პარლამენტის არჩევნები სიმშვიდის, ყველა ჯანსაღ ძალას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და უპირველესად საქართველოს ხვალინდელი დღისთვის მამულიშვილური ზრუნვის ვითარებაში ჩატარდეს.

ყველას უნდა სწამდეს, რომ თვისებრივად განახლებულ, დამოუკიდებელ საქართველოს კომპარტიას, ვინც არ უნდა შეეცადოს, ვერავინ ჩამოაცილებს ჭეშმარიტი ეროვნული მიზნების სამსახურს, რადგან, გაიხადა რა თავის უზენაეს მიზნად საკაცობრიო და ეროვნული იდეალების დამკვიდრება, მან უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

დღევანდელ საქართველოს კომპარტიას მთელ საზოგადოებასთან, საქართველოს მომავლით ჭეშმარიტად დაინტერესებულ ყველა პროგრესულ ძალასთან ერთად ძალუძს კვლავაც შეიტანოს ღირსეული წვლილი ეროვნულ აღმავლობაში, ეროვნული და ერთაშორისი თანხმობის უზრუნველყოფაში, ქართველი, აფხაზი, ოსი, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელთა ინტერესების თანხმობასა და კონსოლიდაციაში.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც უახლოეს ხანს გამოქვეყნდება, მკაფიოდ წარმოაჩენს მის დღევანდელ და სამომავლო მიზნებსა და ამოცანებს.

იმედი გვაქვს, საქართველოს მოსახლეობა ამ გარდამტეხ პერიოდში გამოიჩენს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, დადგება პიროვნულ მოტივებზე, პარტიულ უთანხმოებებსა და სხვა ფაქტორებზე უფრო მაღლა და ამით ხელს შეუწყობს საქართველოს ნათელი მომავლის შენებას.

გზა — სასიცოცხლო ძარღვი

ნაყოფიერი, მოხდომებული შრომა, რაიონული თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე ყოველგვარი შეფერხების დროულად აღმოფხვრაა საგზაო სამმართველოს (უფროსი ო. გიორგობიანი) გზის მშენებელთა მიზანი, რომლებმაც წარმატებით გაანაღდეს 8 თვის საგეგმო დავალება, სულ 8 თვეში შესრულებულ იქნა 640.200 მანეთის საგზაო სამუშაო, როცა გეგმა 637.700 მანეთის სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებდა.

გეგმა შესრულდა ცალკეული სახეობების მიხედვით—კაპიტალური და საშუალო შეკეთების, გზების მოვლა-შენახვისა და კაპიტალური მშენებლობისა.

კეთილმოწყობის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა შესრულებული წყალტუბო-ცაგერის, ალპანა-ცაგერის გზებზე (სამუშაოთა მწარმოებლები მურმან სილაგაძე, დავით გვიშიანი).

დასასრულს უახლოვდება ლაძგვერია-ოფიტრისა და აღვი-მუშკუდიანების უბნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოხრეშვა-კეთილმოწყობის სამუშაოები, რასაც გზის ოსტატები იური სილაგაძე და ჯუმბერ გაბისონია ხელმძღვანელობენ.

არის შეფერხებები, სიძნელეები, მით უფრო დღეს, როცა ამდენი პრობლემები დაგროვდა რესპუბლიკაში. მაგრამ გზის მშენებელთა ერთსულოვნება, საქმისადმი დამოკიდებულება ყოველგვარ სიძნელეს ძლევს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამთავრა პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია, რომლებმაც განცხადება შეიტანეს არჩევნებში მონაწილეობისათვის.

პირველად არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის საარჩევნო პრაქტიკაში პოლიტიკური პარტიები იწყებენ წინასწარჩევნო ბრძოლას საქართველოს რესპუბლიკის მომავალ პარლამენტში დეპუტატთა მანდატებისათვის.

მკითხველთა თხოვნით ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებზე. დღეს ვბეჭდავთ ჩვენი თანამემამულის დავით ხვადაგიანის წერილს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის შესახებ.

რესპუბლიკურ - ფედერალური პარტია

საქართველო უახლოვდება თავის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს. სულ რაღაც ოვეესახევარზე მეტი გვაშორებს უზენაესი საბჭოს არჩევნებისაგან. თუ თვალის ერთი გადავლებით გავიხსენებთ წინა ნებისმიერ არჩევნებს (იგულისხმება ბოლო 70 წელი), ვნახავთ, რომ არაფრის მთქმელი 99,98 პროცენტი რიცხვის მეტს არაფერს გვაძლევდა იგი. იყო აგრეთვე ყბადაღებული მოწოდებებისა და ლოზუნგების ფრიალი და ამომრჩეველთა სრული აპათია.

რა გვექნება ამჯერად და როგორ ვხვდებით არჩევნებს? უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პირველად სსრკ-ს არსებობის ისტორიაში, სწორედ საქართველოში ჩატარდება მრავალპარტიული არჩევნები. ეს კი დადებითახლებით (ვისაც გაზრუბული აქვს რას ნიშნავს ასეთი არჩევნები), ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვებაა. პირველად გვეძლევა საშუალება ფართო პოლიტიკურ სპექტრში. მივცეთ ხმა იმ ძალას, იმ აზროვნებას, რომელსაც როგორც პიროვნება დავთანხმებით და მივიჩნევთ პარლამენტში გამარჯვების ღირსად.

მაგრამ ეს ერთი მხარეა საკითხისა, მეორეა რაოდენ იცნობს ხალხი ამა თუ იმ პარტიას, საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლებიც აცხადებენ პრეტენზიას უზენაეს საბჭოში გამარჯვებაზე. იცნობენ თუ არა მათ პროგრამას, რისი გაკეთება სურთ. გამომდინარე იქიდან, რომ 70 წლის მანძილზე ჩვენს მაგივრად ფიქრობდა სხვა, წყვეტდა სხვა და არაფერს გვეკითხებოდა, ერში ჩამოყალიბდა ერთობ დაბალი პოლიტიკური კულტურა, რაც შემაშფოთებელია მოახლოებული არჩევნების წინ. ამის ბრალია სწორედ ის გულგრილობა, განურჩევლობა და ხშირად აგრესიული დამოკიდებულება სხვაგვარი აზროვნებისადმი, რაც [illegible] ამ ეტაპზე [illegible] ყველა კუთხეში (გამონაკლისებს, შედარებით ალბათ, ქალაქები წარმოადგენენ).

ამ წერილში შევეცდები მოგახსენოთ და ჩამოვაყალიბო ზოგადი პრინციპები რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის.

რესპუბლიკურ - ფედერალური პარტია ამ სახელწოდებით ჩამოყალიბდა 1990 წლის იანვარში. მისი წინამორბედი იყო საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, შექმნილი 1988 წლის ივლისში. შემდგომ ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებების, ახალი ქარტიით, პროგრამით და ძველისდებით დაეფუძნა იანვარში. პარტიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ირაკლი შენგელაია.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, წმინდა რესპუბლიკანიზმის იდეებზე მდგარი პარტიაა. იგი ეფუძნება რა ქართველი ხალხის ისტორიას, მის ტრადიციებს, აღიარებს წარსულის ფასეულობას და აქედან გამომდინარე ხედავს მისი მომავლის განვითარების გზებს.

პირველ ყოვლისა, რაც შეეხება სახელმწიფოებრივ მოწყობას, პარტიას იგი უკვე გაცხადებული აქვს მის სახელწოდებაში. ჩვენი მიზანია:

პირველი — სამხარეო ფედერალიზმის პრინციპებზე ძოწყობილი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

სამხარეო ფედერალიზმის განახლება, რაშიც იგულისხმება პრივატიზაცია, კერძო საკუთრების უპირატესი განვითარება.

მესამე: ეთნიური შემწყნარებლობა, ქართველი ერის უზენაესი უფლებების შეულახავად.

მეოთხე: ერთა თანამეგობრობაში ქართველი ერის მიერ ღირსეული ადგილის დაკავება და სახელმწიფო ნეიტრალიტეტი.

აი ის ზოგადი რამდენიმე პრინციპი, რომლებიც არჩევნების წინა პერიოდში (საარჩევნო კამპანიის დროს) უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდება და გაეცნობა საქართველოს მოსახლეობას.

სამხარეო ფედერალიზმის ხსენება ხშირად ვერ იწვევს დადებით რეაქციას ხალხში და მაშინვე გვიყენებენ პრეტენზიას, თითქოს კუთხურ კარჩაკეტილობას ვესწრაფვოდეთ, რაც გააღვივებდა დამოკიდებულებათა სიმწვავეს ამა თუ იმ რეგიონში მაცხოვრებელ ხალხთა შორის. თავშივე ვაცხადებ, რომ ეს არ მოხდება, ვინაიდან ფედერალიზმი იმ ფორმით, როგორსაც ქადაგებს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, ამას ჭირშივე გამორიცხავს.

საქართველოს ფედერალურ მხარეებად დაყოფა უპირველესად განპირობებულია ისტორიული რეალობიდან გამომდინარე. სწორედ უძველეს ქართულ მხარეებში ჩამოყალიბდა ის კულტურული, ეკონომიკური, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობანი, თითოეული განუმეორებელი იყო და მთლიანობაში გვაძლევდა საქართველოს იმ სახით, რითაც აღფრთოვანებდა და დღესაც ხიბლავს მრავალთ. განა შეიძლება ერთნაირი იყოს გურია და კახეთი, ქართლი და აჭარა, ჯავახეთი და ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი და სამეგრელო. ისინი ყველა თვითმყოფადია. სწორედ მათი თვითმყოფადობის განვითარებით გაძლიერდება საქართველო. უნდა აღდგეს ტრადიციული სათემო ურთიერთობა, გლეხს უნდა მიეცეს საშუალება იშრომოს თავისუფლად, ანუ პატიერი ეცეს და კანონით დაცული იქნას თავისუფალი შრომა. განა სწორი იყო მოსკოვში დაგეგმილი კულტურების თესვა ამა თუ იმ რეგიონში, განა მესხეთი, ქვემო ქართლი კარტოფილმა უნდა წალეკოს? როცა საქართველოს არ სჭირდება ამ რაოდენობის ეს კულტურა. ისტორიულად მესხეთს საქართველოს პურის კიდობანი ერქვა. ქართლის მიწებზე იშვიათი ჯიშის ვაზი და პური მოდიოდა, ან ვინმე ასწავლის რაჭველ, კახელ, აჭარელ და თუშ კაცს რას მისდიოს და რა მოიწიოს მშობლიურ მიწაზე, სად მესაქონლეობაა მომგებიანი და სად მემცენარეობა?

საქართველო არაა უხვმიწიანი ქვეყანა, ისეთი, როგორიც არიან მაგალითად, ა.შ.შ. კანადა, გფრ და ა. შ. ამიტომ აქ მსხვილი ფერმერული მეურნეობები ვერ განვითარდება. სწორედ ამის გამო უნდა მოიკიდოს ფეხი წვრილმა გლეხურმა მეურნეობებმა, რაც ისტორიულად ყოველთვის არსებობდა საქართველოში. სწორედ ასეთი ურთიერთობანი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და გაძლიერების მთავარი ფაქტორი, თუ ამას დავურთავთ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას (ოღონდ ყოველგვარი რეგულირების გარეშე, რამეთუ რეგულირებადი ბაზარი და სოციალისტური ბაზარი არსად არ არსებობს, ეს ცნებები ზემოდან შემოთავაზებული დიქტატის ახალი ფორმაა. ბაზარი თავის თავითონვე არეგულირებს და მასში ვინმეს ძალაუფლების გამოყენება აყალიბებს ბაზრის ფასებს). მაშინ საკმაოდ დამაიმედებელ სურათს მივიღებთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს ფედერალური მხარეების ურთიერთობისა, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ იქნება, რამეთუ მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმოქმედებს ერთი კონსტიტუცია. ფედერალურ მხარეებს ადგილობრივი საკანონმდებლო უფლებები ექნებათ გადაცემული, ასევე სრული თავისუფლება მხარის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა შიდა საკითხებში, მხოლოდ ვიმეორებ, საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის პირობებში. ასე, რომ ყოველგვარი სეპარატიზმის ცდები უსაფუძვლო იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ უარვყავით სამხარეო ფედერალიზმი და ერთიანი უნიტარულ-რესპუბლიკის შენებას შევუდექით დავემსგავსებით იმპერიას, რომელიც ცდილობდა შეექმნა ხელოვნურად „საბჭოური ხალხის“ მოდელი, გაეთქვიფა სხვადასხვა ერთა კულტურა, ფსიქიკა, ზნეობა და ა. შ. ამან კი რაც მოიტანა ვხედავთ — ნგრევა, უბედურება, დაპირისპირება და სიძულვილი. ამიტომ არ უნდა ვესწრაფვოთ ერთიანი ქართული იერსახის ძალით დამკვიდრებას, რამეთუ ქართველი კაცის (ქალის) მცნება ერთობ მრავალფეროვანია. იგი სულდგმულობს ისტორიული ქართული კუთხეების ხარჯზე. მათი გაქრობა, ანუ აღრევა, უცილობლად დასასრულის დასაწყისის ნიშანია.

რაც შეეხება ეთნურ შემწყნარებლობას, იგი ქართველი კაცის სისხლში ჩაქსოვილია. ამ ეროვნულ-ეთნიკურ ნიადაგზე ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ ანეკდოტს ვიტანდ, ოღონდ ეს ანეკდოტი ეროვნული ეთიკის ნორმად ეგულებოდეს ყველა ეროვნებას. ეს ანეკდოტი ასეთია: ერთ ებრაელ ბებერ ებრაელ ბებერ ებრაელ ბებერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი ნუ მოგიშალოთ...

შეხვედრა პარტიის ცაგერის რაიკომში

5 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ე. კ. გუგავა შეხვდა უმუშევარ ახალგაზრდა სპეციალისტებს. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის მონაცემებით ისინი 63 არიან.

უმუშევრობა ჩვენი სინამდვილისათვის ახალი არაა. სირაქლემას სინდრომი აქამდე ხელს გვიშლიდა გვეღიარებინა ამ უმწვავესი პრობლემის არსებობა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან უმუშევართა სოციალური დაცვის სისტემაც არ არსებობდა, მისი შექმნა ხომ უკვე პრობლემის აღიარებას ნიშნავდა. დღეს ვითარება შეიცვალა — სირაქლემამ თავი ქვიშიდან ამოაძვრინა და საფრთხეს თვალებში ჩახედა. ჩვენი რაიონისათვის არცთუ ცოტაა 63 უმუშევარი სპეციალისტი — ინჟინერი, პედაგოგი, საანგარიშო დარგის მუშაკი... სახალხო მეურნეობის დარგების მოსალოდნელი რეორგანიზაცია კიდევ უფრო გაზრდის უმუშევართა რიგებს. პრობლემა მეტად რთულია და უკიდურესობამდე ძნელად გადასაჭრელი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიღებული გვაქვს შრომითი მოწყობის საქმეში პროტექციონიზმის მძიმე მემკვიდრეობა.

ახალგაზრდობის კავშირმა, რომელმაც თავს იდო ზრუნვა რაიონის ახალგაზრდა სპეციალისტთა დასაქმებაზე, გადაწყვიტა მოეწყო ეს შეხვედრა. ამ ორგანიზაციის სათათბიროს წევრები იმედოვნებდნენ, რომ ღონისძიება რეალურ შედეგს მოიტანდა. როგორც ჩანს, და ეს მოგვიანებით აღიარა სათათბიროს თავმჯდომარემ გიორგი კვირკაშვილმა, უმუშევარ სპეციალისტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ გაიზიარა სათათბიროს იმედები. მათ, უბრალოდ უკვე აღარ სჯერათ, რომ რაიონის ხელმძღვანელობა შეძლებს დღევანდელ პირობებში ახალგაზრდობის დასაქმებას.

ე. გუგავამ დაახასიათა რაიონში არსებული მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარება და თქვა: სხვადასხვა მიზეზებით ჭირს ყველა ახალგაზრდა სპეციალისტის დასაქმება. დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

არავის შეკითხვის, წინადადების დასმის სურვილი არ გასჩენია. იფიქრებდით, რომ პირველი მდივნის წინადადებამ: ვეცდებით და ჰუმანიტარებს ორი კვირის ვადაში დავაკმაყოფილებთ, ხოლო ტექნიკური დარგების მუშაკების ბედს მხოლოდ აგროფირმის ჩამოყალიბების შემდეგ გადავწყვეტთო — ყველა დააკმაყოფილა. მხოლოდ გიორგი კვირკაშვილის გამოსვლამ, რომელმაც გაკვირვება ვერ დაფარა სიჩუმის გამო, აალაპარაკა ახალგაზრდები. საუბრის დროს გამოიკვეთა, როგორ უყურებდნენ ისინი ამ პრობლემას. ბევრი მათგანი თვლის, რომ მას განზრახ ართულებენ, რაც გამოიხატება პროტექციონიზმით, საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ ვაკანტური ადგილების „დამალვით", არასასურველი პირებისათვის უარის თქმით, პენსიონერებისა და არასპეციალისტების სიმრავლით. გამოითქვა ბევრი პრეტენზია საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ და აღინიშნა, რომ ამგვარ შეხვედრებს ისინიც უნდა ესწრებოდნენ. იყო წინადადება, ჩატარდეს პენსიონერთა ატესტაციები, რაც ნაწილობრივ მაინც გადაჭრიდა პრობლემას, მოეწყოს კონკურსები ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

—ასეთი რამ ჩვენს რაიონში არ მომხდარა და არც მოხდება, — დარბაზიდანვე გაისმა ამ ბოლო წინადადების საპასუხო რეპლიკა, რამაც ცხადი გახადა ახალგაზრდობის განწყობილება, რომელთაც არ სჯერათ საკითხის ობიექტური გადაწყვეტისა.

საბოლოოდ შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს შეხვედროდნენ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობას. ამის აუცილებლობა წამოიჭრა მას შემდეგ, რაც გამოითქვა პრეტენზია ამ სამსახურის მიმართ — იმ დროს, როცა ჩვენი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობს საშუალო განათლების მქონე ბევრი არასპეციალისტი, განათლების განყოფილებაში უარით ისტუმრებენ უმაღლესი განათლების მქონე პირებს იმ მოტივით, რომ ინჟინრებს, ტექნიკოსებს არ შეუძლიათ ასწავლონ სკოლაში. საკითხავია, თუ კი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს შეუძლია ასწავლოს ბავშვებს, მაგალითად რუსული ენა, რატომ არ შეუძლია ეს გააკეთოს რუსულის მცოდნე ინჟინერმა?

დაპირებისამებრ, შეხვედრა განათლების განყოფილების ხელმძღვანელობასთან მეორე დღესვე შედგა. შედეგი გაინტერესებთ? მოუსმინეთ გიორგი კვირკაშვილს:

—დღეს დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდობაზე რაიონში არავინ ზრუნავს. ჩვენ კი გვინდა ეს მცირე წერილი მაინც ოპტიმისტურად დავამთავროთ: იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ოღონდ, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისა...

ია ხმელიძე.

ჩვენ გვწერენ

დროულად მოსაგვარებელია

მდინარე ცხენისწყალი ადიდების შემთხვევაში დიდ ზარალს აყენებს მის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლებს. ყველას გვახარებს ის მდგომარეობა, რომ დაწყებულია და მიმდინარეობს ნაპირსამაგრის მშენებლობა, მაგრამ ლასურიაში-ცაგერის შემაერთებელი რკინა-ბეტონის ხიდის ქვემოთ ისე აქვს აღებული წყალს მიმართულება, რომ წალეკვის საშიშროება ემუქრება ლასურიაშის საშუალო სკოლის შენობას, საბავშვო ბაღს, ათ ჰექტარ ხეხილის ბაღს, სოფლის სახნავ-სათეს ჭალებს, ფერმის სამ შენობას.

საჭიროა დროულად იქნას მიღებული ზომები, სანამ ნაპირსამაგრი სამუშაოები ამ ტერიტორიაზე მოაღწევს, ცხენისწყალი წალეკავს ზემოთ აღნიშნულ ობიექტებს, ამიტომ ხიდს ქვემოთ უნდა გაიჭრას ბულდოზერებით არხი და ჩაიდგას ჯებირები. ეს, რა თქმა უნდა, დროებითი ღონისძიება იქნება. ამას მოითხოვენ შვიდი სოფლის მცხოვრებლები.

საჭიროა, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა ეს საქმე დაავალოს მას, ვისაც ეხება და მოსთხოვოს კიდეც მისი დროული შესრულება, თორემ დაგვიანება გამოიწვევს დიდ ზარალს.

ვალერიან ჯამბურიძე.

შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი

სოფ. მახაში.

იამბე, ციხის ნაშალო!

წარსულის უტყუარი მემატიანე



გვესოს ციხე... ჟამთა სიავეს უცვლია პირველქმნილი სახე აქაურობისათვის, ხოლო ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია, დღესაც ხიბლავს მნახველს. მარტო ერთი გადმოხედვა რად ღირს ციხის კოშკიდან, ხელისგულივით დაჰყურებ ცხენისწყალის ხეობას მურიდან სარეწკელამდე, შენდა უნებურად გაიელვებს გონებაში სამშობლოს ისტორია, ფანტაზიით აღიქვამ გმირ წინაპართა სახეებს, მათ ვაჟკაცურ დახვედრას მომხდურ მტერთან, შერკინებას ამ ციცაბო ფერდობებზე და სიამაყის გრძნობა გეუფლება, რომ შენც დიდი წარსულის მქონე ერის შვილი ხარ.

ციხეები თავდაცვის მიზნით შენდებოდა და ადგილსაც შესაფერის არჩევდნენ, გვესოს ციხე კოჯეებით გარშემორტყმულ გორაკზეა აგებული, რომ მცირერიცხოვან ჯარს შეძლებოდა ურიცხვი მტრის მოგერიება. ის შუა საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს, კოშკის კედელს ემჩნევა, რომ მისი ზედა ნაწილი უფრო გვიანდელ პერიოდშია დაშენებული.

გვესოს ციხე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია და სასიხარულოა, რომ მიმდინარეობს მისი აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო გაერთიანების ქუთაისის პირველი უბანი. აქ მოვლინებულია გამოცდილ რესტავრატორთა ბრიგადა (უფროსი ოსტატი ამირან კვერკველია), რომელმაც გასულ წლებში რესტავრაცია ჩაუტარა ცხეთის ეკლესიას.

ამჟამად მიმდინარეობს გალავნის აღდგენის სამუშაოები. მის რესტავრაციაზე მუშაობენ კალატოზ-რესტავრატორები — დემურ ხეცურიანი, გიორგი კვერკველია, მუშები — მამუკა ხეცურიანი, დათო კენჭაძე, თენგიზ ქარსელაძე.

პროექტით წელს უნდა დამთავრდეს კოშკის აღდგენა, რომელიც კლდეებზეა აგებული და ყველაზე რთულ ნაწილს წარმოადგენს რესტავრაციის თვალსაზრისით. კოშკის ნანგრევი მიწითაა ამოვსებული, სადაც მუხები ხარობდა. ხეები უკვე მოჭრილია, კოშკის მიწისაგან გაწმენდის შემდეგ დაიწყებენ დაშენებას.

ციხის შესასვლელთან არის შენობის მონარღვევი, რომელიც პროექტის მიხედვით უნდა აშენდეს ერთი მეტრის სიმაღლეზე.

გათვალისწინებულია აგრეთვე ციხის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიის აღდგენა, რომლისგანაც შემორჩენილია აღმოსავლეთის ნახევარწრედ მდგარი ორი კედელი და კიდევ ცალ-ცალკე მდგარი დარღვეული კედლები.

ციხის ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების გვერდით სატელევიზიო ანძა დგას, ალბათ, დადგა დრო ციხის ტერიტორიიდან მისი გატანისა, მითუმეტეს, რომ ის დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მთელ რიგ სოფლებში ტელევიზიის ჩვენების ხარისხი ძალიან ცუდია, რომ არაფერი ვთქვათ ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებზე, რომლებსაც საერთოდ ვერ იღებენ.

გვესოში რამდენიმე წლის წინ ნაპოვნი იყო სამარხი, სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი, კოლხური ცულები და სხვა ნივთები, ამასთან დაკავშირებით გვესოს ციხესთან, მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა თბილისის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა (უფროსი ნიკოლოზ უგრელიძე). არქეოლოგიური კვლევისას ნაპოვნია ფეოდალური ხანის მონეტები და სხვა საინტერესო ნივთები. მომავალში გათვალისწინებული აქვთ გვესოს არქეოლოგიური შესწავლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდის თვალსაზრისით.

ამჟამად არქეოლოგთა ჯგუფი რაიონის სხვა სოფლებში მუშაობს და განაგრძობს ლეჩხუმის ძირძველი ისტორიის შესწავლას. გვესოს ციხე შემოგვრჩენია დღეს ისტორია წარსულის, დგას გვესოს ციხე, უტყვი მოწმე გასული დღეთა.

გ. ჩარკვიანი.

სურათებზე: მარცხნივ — გვესოს ციხის კედელი, მარჯვნივ — მიმდინარეობს რესტავრაცია.

ფოტოები ზ. გზობავასი.

სარედაქციო ფოსტიდან

შეხვედრა 15 წლის შემდეგ

ახალგაზრდობის აღზრდა სკოლის მერხიდან დაწყებული ცხოვრებაში მის გაშოსვლამდე. ის უწყვეტი პროცესია, რომლის დროსაც ყალიბდება ხვალინდელი საქართველოს ზნეობრივი სახე. პროფილური და შემოქმედებითი ინტელექტი, მისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მისი ეკონომიკა და კულტურა ამდენად აუცილებელი იყო, არის და იქნება სწავლებისა და აღზრდის საკითხი გადაიქცეს უპირველეს ეროვნულ პრობლემად. თავისი შინაარსით იგი უნდა უტოლდებოდეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ეროვნული სუვერენიტეტი და თავისუფლება.

პედაგოგებმა, მშობლებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მოზარდს კი არ ავაცილოთ ცხოვრებისეული სიძნელე, ხელოვნურად კი არ გავუგრძელოთ ბავშვობა, არამედ მოვახდინოთ აღსაზრდელის დროული პროფესიული ორიენტაცია, არ მივაჩვიოთ ისინი მშობლისა და საზოგადოების „ზურგზე“ ცხოვრებას. უნდა მივაღწიოთ მის სულიერ ფორმირებას და მაშინ ვიქნებით ვალმოხდილი: მშობელი—შვილის მიმართ, აღმზრდელი—აღსაზრდელის მიმართ.

დღეს მთელ ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაში და რაიონშიც, ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, ყველას გვიჭირს. მით უფრო ბავშვებს. ახლა ძნელია გაერკვე სიტუაციაში, აირჩიო სწორი გზა.

ბევრჯერ ვიტყვით, რა გვემდურება რა გვეზიზღება. მაგრამ გაგვახსენდება ბრძენის ნათქვამი. სწორედ „ვაჭრვების ჟამს ფიქრია“ და ზეიმი გამოგვიყვახს დაძაბულობიდან, დაგვანახებს გამოსავალს, მოგვცემს შესაძლებლობას ნათელი გონებით დავინახოთ პრობლემების გადასაჭრელი გზები, ხერხები და მეთოდები.

სწორედ ეს შეგონება დავინახეთ აგვისტოს ბოლო რიცხვებში, 1975 წლის ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე. პედაგოგ-აღმზრდელები დავრწმუნდით, რომ ჩვენს შრომას შედეგი გამოუღია.

ის ბავშვური სიყვარული და ერთგულება, რაც მათ პირველ კლასში ჰქონდათ, გაღრმავებულა და განმტკიცებულა 15 წლიანი ცხოვრებისეული გამოცდილებით. ყველას უპოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში. პერსონალურად არცერთ მათგანს არ მოვიხსენიებ.

დავლოცავ მათ ყველა დასალოცით! დღეს ხომ აგრე-რიგად სჭირდება საქართველოს, ქართველ ერს, ასეთი შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, ზნემაღალი ადამიანები სიხარულის, ადამიანურობის და უკვდავების შესანარჩუნებლად.

ნ. ლეთოდიანი,
ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ავტორის თხოვნაა: ჰონორარი გადაირიცხოს ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშზე.

მორალის თემაზე

*

ვინ ვართ ჩვენ?

ბავშვის აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, ოჯახიდან იწყება. მშობლები არიან მისი აღმზრდელნი და ჩამომყალიბებელნი. თუ ბავშვს პატარაობიდანვე არ ვასწავლეთ მისი გვარისა და ჯიშის, სისხლით ნათესავის სიყვარული და პატივისცემა, ბოლოს გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ჩვენთან, ლეჩხუმში ხშირია ისეთი მაგალითები, როცა მშობლები თავიანთი გაუმართლებელი მოქმედებით, (როგორიცაა ცოლ-ქმრობა ერთი და იგივე გვარის ხალხში) სამუდამო დაღს ასვამენ შვილების ცხოვრებას. ასეთი მოქმედება ქართველთა მოდგმაში უკიდურესი დანაშაულია. იქნებ ვინმე შემომედავოს, ამ მოქმედებისათვის დასჯას კანონი არ ითვალისწინებსო. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი რამ საერთოდ არ უნდა ხდებოდეს.

თუ ძველ დროში ასეთ სიმახინჯეს ჰქონდა ადგილი, ეს აისახებოდა „ტუბალობით“ [illegible] ლობით [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...